

ყველაზე ჭკმარტივი სიყვარული - დედამხილობა

დედობა ნიშნავს უსასრულო სიბარულს, ზრუნვას, თავგანწირვას. შეიძლება ყოფნის სურვილი ყველაფერს აღემატება - ასე ფიქრობს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი - სოფი ჩალაშვილი. სულ ახლახან ის უმწვენიერესი გოგონას დედა გახდა, ჩვენ რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას, ქალბატონი სოფი გვიზიარებს იმ ემოციებსა და სიხარულს რაც დედობას ახლავს თან.



ულღეს ჩვენი წვლილი შევიტანოთ სენაკის კულტურულ ცხოვრებაში. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის სიბიძგე და ადამიანური ურთიერთობები, რომლებსაც სენაკის მაცხოვრებლები იჩენენ ჩვენს მიმართ. აქ ცხოვრობს თბილი და მოსიყვარულე ხალხი. სენაკი ჩემი მეორე სახლია.

თვლით თუ არა რომ ქალბატონები დედობას და პროფესიულ საქმიანობას უნდა უთავსებენ ერთმანეთს, თქვენს შემთხვევაში როგორ არის?

ვფიქრობ, რომ ყველა ქალმა უნდა იპოვოს გზა, თუ როგორ დააბალანსოს ორი მისთვის უმნიშვნელოვანესი მხარე: დედობა და კარიერული წინსვლა. ამისთვის რა თქმა უნდა საჭიროა ნებისყოფა და სიმშვიდე. ყველაფერს თავისი დრო

აქვს. ამჟამად ვტკბები ბავშვთან ურთიერთობით და თვალს ვადევნებ მის განვითარებას, მაგრამ უახლოეს პერიოდში დაგუბრუნდები სენაკის თეატრს, ჩემს საყვარელ საქმიანობას და შევხვდები მაყურებელს.

მიგაჩნიათ თუ არა, რომ ქალს თან უნდა სილამაზის და სრულყოფილების შეგრძნება?

ვფიქრობ, რომ ყველა ადამიანი სრულყოფილია და ყველა ქალბატონი ლამაზი. განსაკუთრებით კი დედობის დროს, როცა ქალი ბედნიერია.


უფრო ავლენიწავდი სილამაზეს და სრულყოფილებას, როგორც ბედნიერებას და სიმშვიდეს. ეს შეგრძნება ყველა ქალს უნდა ჰქონდეს. რას უსურვებთ ბავშვებს?

ყველა ბავშვს ვუსურვებ ლალ, მხიარულ და უზრუნველ ბავშობას. მე რომ ჯადოქარი ვიყო ყველა ბავშვს ავუსრულებდი ოცნებას! სამწუხაროდ ჯადოქარი არ ვარ, მაგრამ ვიცი ადგილი, სადაც ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა ნახონ და რაც უადრესად მნიშვნელოვანია დაიჯერონ, რომ ყველა ოცნება შეიძლება ახდეს, რომ სიკეთე და სიყვარული ყოველთვის იმარჯვებს. ეს ადგილია თეატრი.

თუ გასურთ ნახოთ თქვენი შვილის გაოცებული ღიმილი, აუცილებლად მოიყვანეთ სენაკის თეატრში. იქ ბავშვებს დახვდებათ ნამვილი სასწაული!

ა. ეჯიზია

ჭკმარტივი პროფესიონალი ადამიანთა უსაფრთხოების სადარჯჯოზე



გაზაფხულის ბუნების სიმშვენიერემ კაცობრიობას მისცა ბიძგი, მისსავე წიაღში ადამიანთა გათანასწორების იდეური საზრისისა: ჰუმანური უფლებათა განხორციელების, ქალთა უფლებების წინ წამოწევის, მისი მამაკაცის თანასწორად ქცევის თვალსაზრისით. „გაზაფხული“ გახდა ქალთა მიმართ სოლიდარობისა და ბუნებასთან შერწყმის წლიწინადის უმშვენიერესი დროის აღმნიშვნელი სიმბოლო - 3 მარტი - დედის დღე, 8 მარტი - ქალთა საერთაშორისო დღე...

„ქალთა დღის“ სოლიდარობის ნიშნად, მიმდინარე - მარტის თვის საგაზეთო ნომრის სტუმარია - „სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო“ უფროსი ინსპექტორი, ვეტერინარი ექიმი, ქალბატონი თამარ თოლორდავა, რომელიც გვესაუბრება განსაკუთრებით საშიში დაავადებების, ზოონომიური მძიმე ვირუსების (ცოფი, ჯილეხი, ბრუცელოზი) თავიდან აცილების პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე.

ქალბატონი თამარ თოლორდავა სამყაროს მოველინა ზამთრის ყველაზე მკაცრ თვეს, 19 დეკემბერს.

ბავშვობის თბილ და ლამაზ წლებს მოჰყვა ცხოვრების პირველი საპასუხისმგებლო ნაბიჯები - დაამთავრა სენაკის №მე-3 საჯარო სკოლა. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო კვლევით უნივერსიტეტში, სადაც მიიღო ვეტერინარი ექიმის მაგისტრის კვალიფიკაცია, ის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლის პარალელურად დაინტერესებულია ჰუმანიტარულ დისციპლინათა შესწავლით, კერძოდ დაამთავრა საქართველოს ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი, სამართალმცოდნეობის განხრით, ბაკალავრის კვალიფიკაციით. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

მას გააჩნია ვეტერინარიის სფეროში მუშაობის 30 წლიანი გამოცდილება. ბოლო 10 წელი დასაქმებულია „სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო“ უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე.

ქალბატონი თამარ გვესაუბრება თავისი სამსახურის სპეციფიკურ მხარეებზე:
- ჩვენი სამმართველოს მთავარი ფუნქციაა სენაკის მუნიციპალიტეტში და მასში შემავალ სოფლებში ეპიზოოტიური მდგომარეობა და კეთილსაიმედოობა, ზოონომიურ დაავადებებში შედის მძიმე ვირუსული დაავადებები, როგორცაა: ცოფი, ჯილეხი, ბრუცელოზი.

- ზოონომიური დაავადება როგორც მოგესვენება წარმოადგენს ცხოველიდან ადამიანზე გადადებ დაავადებას, მათი ადამიანებზე გადადება ხდება: შეხებით, დაკბენით, დაკანწვრით, დადორბვლით.

- სახელმწიფო ყოველწლიურად ანხორციელებს პრევენციულ ვაკცინაციის ღონისძიებებს, პროფილაქტიკური აცრების სახით.
- ზოგადად ზოონომიური დაავა-

დებების სფეროში მეტი საინფორმაციო პოლიტიკის გატარება, განსაკუთრებით ისეთ გაერცხლებულ დაავადებასთან მიმართებით, როგორცაა - ცოფი, ადამიანთა აზროვნებაში გააძლიერება აღნიშნული ვირუსების საშიშროების აღქმას...

- 2023 წელს დაფიქსირდა ცხოველების ცოფით დაინფიცირების შემთხვევები, რამაც წარმოშვა იძულებითი ვაკცინაციის აუცილებლობა, რის შედეგადაც აღმოიფხვრა ცოფის შემდგომი გავრცელების საშიშროება. „სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური სამმართველო“ ჰყავს ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტები (ვეტერინარი) სათანადო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომლებიც ანხორციელებენ პროფილაქტიკურ და საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

- ასევე დაცულია ასაცრელად გამოსაყენებელი ვაკცინაციის შენახვის განსაკუთრებული პირობები, რომელიც მოიცავს მათ სათანადო ტემპერატურულ პირობებში შენახვა-დაცვას.

ქალბატონი თამარისთვისაც გაზაფხული არის გენდერული (ქალთა და მამაკაცთა) უფლებრივი თანასწორობის სიმბოლო, ის მშვენიერ სქესს ულოცავს 3 და 8 მარტს, უსურვებს ჯამრთელობას, მშვიდობიან სამყაროს, ცხოვრების ლამაზ დღეებს, ქალურ ბედნიერებას...

გაზეთ „კოლხეთი“ სახელით ქალბატონ თამარს მადლობას მოვასხენებთ ესოდენ გულწრფელი საუბრისთვის. ვულოცავთ გაზაფხულის ამ მშვენიერ „ქალთა დღეებს“, ვუსურვებთ ჯამრთელობას, მშვიდობას, მატერიალურ კეთილდღეობას და წარმატებებს პირად თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე...

გიორგი ბარუჩაძე

